პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

2019 წლის .. მარტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 107^4 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში და სკვერში აიკრძალოს მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილება.

2. წინამდებარე დადგენილების 1-ლი პუნქტი არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის, სამაშველო სამსახურის, ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოყენებულ მოძრავ საშუალებებზე.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დადგენილების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება და ამ მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის ან/და უფლებამოსილი პირის განსაზღვრა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

როგორც გასული წლების სტატისტიკამ აჩვენა ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ყოველწლიურად იზრდება ელექტრომობილებით გამოწვეული შემთხვევების რაოდენობა (შეჯახება, ტრავმული დაზიანებები, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები), განსაკუთრებით მძიმეა სურათი მცირეწლოვანთა მიმართ.

დასახელებული შემთხვევების (ტრანსპორტით მოძრაობის წესების დარღვევა, ჯანმრთელობის დაზიანება) საფუძველზე ბოლო წლების განმავლობაში აღძრულია რამდენიმე ათეული სისხლის სამართლის საქმე. ამდენად საკითხის სიმძიმიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:
სამართლებრივი რეგულაციის დაწესება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი თხოვნით მომართა სსიპ „ბათუმის ბულვარმა“.

ე) **პროექტის ავტორი:**

განკარგულების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ვ) **პროექტის ინიციატორი:**

განკარგულების პროექტის ინიციატორია ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ომარ მახარაძე

ზ) **განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების
უფროსი

სულიკო შვენთიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის ბულვარი

Boulevard
BATUMI 1881

GEORGIA
AVTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
BATUMI BOULEVARD

N 01-11/74
12/02/2019

74-01-11-2-201902121825

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 05 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ „ბათუმის ბულვარი"-ს დებულების შესაბამისად, ბულვარის ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან ფუნქციასა და ამოცანას წარმოადგენს ვიზიტორების გაჯანსაღებისა და დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა. დამსვენებელთათვის დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი პირობების შექმნა, ბულვარის სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა - პატრონობა, ბულვარის განვითარების დასაბუთებული პერსპექტიული გეგმებისა და რეკომენდაციების მომზადება.

ბულვარს, თავისი ამოცანების და ფუნქციების შეუფერხებლად რეალიზაციის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს: წარადგინოს წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ბულვარის მართვისა და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე; მიიღოს საჭირო ინფორმაცია, განმარტებები და ცნობები; მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება-განხილვაში; შეადგინოს ბულვარის ტერიტორიაზე ჩადენილი ცალკეულ სამართალდარღვევაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმი.

როგორც თქვენთვის ცნობილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების საფუძველზე განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი"-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრე. განსაზღვრულ პირთა წრეს შორის ერთ-ერთი სუბიექტს წარმოადგენს სსიპ ბათუმის ბულვარი თავის სარგებლობაში არსებული ტერიტორიის ფარგლებში.

6010, საქართველო, ბათუმი, ქ.ბამსახურდიას ქ. 2 TEL/FAX (+995 222) 78808 6010, 2K.BAMBAXURDIA STR, BATUMI, GEORGIA

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
მიღებულია № 11/64
13 " თებერვალი 2019 წ.

მთელი წლის მანძილზე, განსაკუთრებით ზაფხულის ტურისტული სეზონის პერიოდში, ბათუმის ბულვარში ვიზიტორთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია. გასული წლების სტატისტიკამ აჩვენა (იხ.დანართები), რომ ბულვარის ტერიტორიაზე ელექტრო-მობილებით მოძრაობა და ამით გამოწვეული შემთხვევების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, კერძოდ: ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება (დაჯახება, ტრავმული დაზიანებები, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები).

ჩვენი მოსაზრებით, აუცილებელია, რომ ბულვარის ტერიტიორიაზე დაწესდეს მთელი რიგი დამატებითი აკრძალვები თანმდევი მკაცრი ადმინისტრაციული სახდელით, მათ შორის ჯარიმა, გაფრთხილება და იმ საგნის ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო.

მივიჩნევთ, რომ რეგულაციები მისაღებია შემდეგი მიმართულებებით ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე:

- უკანონო გარე ვაჭრობის აკრძალვა;
- უკანონო კონსტრუქციების დემონტაჟი და ტერიტორიის გამოთავისუფლება;
- ტრანსპორტის გადაადგილების აკრძალვა/შეზღუდვა (მათ შორის ელექტრომობილების);

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი მოსაზრებები უმოკლეს ვადებში, გვაცნობოთ უკვე არსებული რეგულაციებისა და აკრძალვების შესახებ და შემდგომში, ერთობლივი კონსულტაციების საფუძველზე, მოახდინოთ სსიპ ბათუმის ბულვარის განსაზღვრა პასუხისმგებელ პირად თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ან/და ახლად დაწესებული რეგულაციების მიმართულებით.

პატივისცემით,

ირაკლი ჯინჭარაძე

დირექტორი
სსიპ "ბათუმის ბულვარი"

საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
პოლიციის დეპარტამენტის
ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს
პოლიციის I განყოფილება

MINISTRY OF
INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA POLICE
DEPARTMENT OF THE AUTONOMOUS
REPUBLIC OF ADJARA
BATUMI CITY DIVISION
POLICE I UNIT

MIA 4 19 00349706

11/02/2019

სსიპ "ბათუმის ბულვარის"იურიდიული,
ქონების მართვისა და მონიტორინგის
სამსახურის უფროსის მოადგილეს ბატონ ირაკლი
ხაბურზანიას

თქვენი 2019 წლის 07 თებერვლის N 318887 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში 2015 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 იანვრის ჩათვლით პერიოდში ბულვარის ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევისა და ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების 16 (თექვსმეტი) ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

პატივისცემით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის
დეპარტამენტი / ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველო /
პოლიციის I განყოფილება
განყოფილების უფროსი /დეტექტივი-გამომძიებელი/
არჩილ ანთაძე

S.

სსიპ „ბათუმის ბულვარი"
ს/კ 245630786
შემოსული კორესპონდენცია
№ 01-09/136
„12" თებერვალი 2019 წ.

6000. ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №8
ტელ.: (+995 422) 24 02 73

8, Tabidze str., 6000, Batumi, Georgia
Tel.: (+995 422) 24 02 73

MIA 8 19 00353264

11/02/2019

სსიპ ,,ბათუმის ბულვარის"-ს იურიდიულ
ქონების მართვისა და მონიტორინგის
სამსახურის უფროსის მოადგილეს
ბატონ ირაკლი ხაბურზანიას

ბატონო ირაკლი,

თქვენი N318210 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილებაში, 2015 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 იანვრამდე, ელექტრომობილით ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევის ფაქტზე დაიწყო გამოძიება ოცდათერთმეტ სისხლის სამართლის საქმეზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის
დეპარტამენტი / ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველო /
პოლიციის VI განყოფილება
განყოფილების უფროსი /დეტექტივი-გამომძიებელი/
ლაზო ვაჩეიშვილი

სსიპ ,,ბათუმის ბულვარი"
ს/კ 245630786
შემოსული კორესპონდენცია
№ 01-09/135
11 " თებერვალი 20 19 წ.

საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
პოლიციის დეპარტამენტის
ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს
პოლიციის VII განყოფილება

MINISTRY OF
INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA POLICE
DEPARTMENT OF THE AUTONOMOUS
REPUBLIC OF ADJARA
BATUMI CITY DIVISION
POLICE VII UNIT

MIA 5 19 00320285

07/02/2019

**სსიპ „ბასთუმის ბულვარი"-ს იურიდიულ,
ქონების მართვისა და მონიტორინგის
სამსახურის უფროსის მოადგილეს
ბატონ ირაკლი ხაბურზანიას**

თქვენი, 2019 წლის 07 თებერვლის N319472 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილოებაში 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე ელექტრომობილის მოძრაობის წესების დარღვევის და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება 4 სისხლის სამართლის საქმეზე.

პატივისცემით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის
დეპარტამენტი / ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველო /
პოლიციის VII განყოფილება
განყოფილების უფროსი /დეტექტივი-გამომძიებელი/
ლევან ქათამაძე

სსიპ „ბათუმის ბულვარი"
სს 245630786
შემოსული კორესპონდენცია
№ 01-09/132
08 " თებერვალი 2019 წ.

6000, ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. №2
ტელ.: (+995 422) 25 78 61

2. Pridon Khalvashi Ave., 6000, Batumi, Georgia
Tel.: (+995 422) 25 78 61